პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 10 მარტი 1926 წ.

წელიწადი მეექვსე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

52 (1047)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.


## ...ყველა შევებრძოლოთ ამ სენს.

...ჩვენი გაზეთის დღევანდელ ...მერში იბეჭდება სამხკორ ...ენკუთხელის" წერილი იმის ...სახებ, თუ როგორ თანდა... ...ნობით მატულობს ჩვენი ...რის ნაწილებში ვენერიულ ...ვმყოფთა რიცხვი. ადვილი ...საძლებელია ასეთ მოვლენას ...ქონდეს მასიური ხასიათი ...ნს ნაწილებში, მაგრამ ყო... ...ივე ის, რასაც ამხ. „ლენ... ...ხელი" სწერს, მაჩვენებე... ...ა იმისა, რომ ჩვენს ნაწი... ...ებში აქ—იქ მართლაც ად... ...ი აქვს სინამდვილეში.

...რას გვიქადის ჩვენ ასეთი ...ულების გავრცელება ჩვენს ...ილებში? ყველამ კარგად ...ით, რომ ჩვენი წითელი ...მიის სიძლიერე დამოკიდე... ...ია თითეულ წითელი არ... ...ის ჯანმრთელობაზე, ურო... ...სოდ რაიმე დიდ მიღწევე... ...ლაპარაკი შეუძლებელი ...ბა. ამიტომ ჩვენი უდიდე... ...ურადღება მიქცეულ უნ... ...ქნეს იმისაკენ, რომ წი... ...ი არმიელი იყოს ჯანმრ... ...ლი და ავაცდინოთ ის ყო... ...ვარ სენის შეყრას, რო... ...მის ჯანმრთელობას და ...თოდ მის არსებობას ექ... ...ბს საფრთხეს.

...როგორ უნდა მოვიქცეთ, ...ეს მოვლენა აღმოვფხვ... ...ჩვენს ნაწილებში, ძირიან... ...ანად? უპირველეს ყოვ... ...საჭირო იქნება ამის შე... ...ბ გაიმართოს ვრცელი საუ... ...ი ადგილებზე, სადაც ფა... ...დ უნდა მივიზიდოთ წი... ...არმიელთა მასა. მეორეს ...ვ კი კლუბებმა კიდევ უფ... ...უნდა გააძლიერონ მუშა... ...ამ დარგში და ხშირად გა... ...ონ წარმოდგენები და სუ... ...ების ჩვენება ვენერიულ ავადმყოფობის გავრცელებისა და მისი შედეგების შესახებ.

გარდა ამისა საჭირო იქნება, რომ თითეული წითელი არმიელი თითონაც სასტიკად ებრძოდეს ამ საშინელ სენს. თითეულ მათგანს უნდა ახსოვდეს, რომ ამ სენის მოსპობა და არ გავრცელება მომავალში დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ შეებრძოლება წითელი არმიელი ამ მოვლენას. ქუჩებზე სასეირნოდ გამოსული წითელ არმიელები ძლიერ უნდა ერიდებოდენ მეძავ ქალებთან შეხვედრას და მათთან კავშირის დაკავებას. პირიქით, ყოველ წითელ არმიელს უნდა ახსოვდეს, რომ ის მოვალეა დაუნდობლად ებრძოდეს როსკიპობას და ამით ეხმარებოდეს საბჭოთა ხელისუფლებას ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამასთანავე ერთად საჭირო იქნება სამხკორებმა და ნაწილების კედლის გაზეთებმაც თავიანთი უდიდესი ყურადღება მიაქციონ ზემოაღნიშნულ სენის გავრცელებას ჩვენს ნაწილებში და აწარმოონ ამის შესახებ საწინააღმდეგო აგიტაცია-პროპაგანდა. სამხკორთა წრეებში ამის შესახებ ხშირად უნდა იმართებოდეს საუბრები ამ საკითხის მცოდნე ამხ-საგან და უნდა მუშავდებოდეს გეგმები იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იქნეს მომავალში მუშაობა ამ მიმართულებით და რას უნდა აკეთებდეს თითეული სამხკორი ამ დარგში.

მაშ ჩვენი უდიდესი ყურადღება ამ საქმეს და დაუნდობელი ბრძოლა ვენერ. ავადმყოფობის წინააღმდეგ.

## ...რტ-კომისიის დაახლოვების გა... ...მო ორგანიზაციებთან.

...ნახმათ პირ. დივიზიის ...თე პარტ-კონფერენციის ...ენილებისა პარტ-კომისია ...გა აღნიშნულ კონფერენ... ...დადგენილების განხორ... ...ებას ცხოვრებაში, რასაც ...ათ მოყვა პარტ-კომისიის ...პარტ-ორგანიზაციებთან ...ლოვება და ორგანიზაციუ... ...მუშაობის მთლიანათ გაც... ...ყოველივე ეს გამოიხა... ...დო უჯრედების ოქმების ...ჯვაში, მდივნებთან კერ... ...საუბრების ჩატარებაში ამა ...მ კითხვების გამოსარკვე... ...პ/კ. საქმეების გადასინ... ...კერძო საუბარში პ/კ. ...ნთან და ასეთივე წესით ...საქმეების გასინჯვაში და ...ველ მხრივ გაცნობაში. ასეთი გადასინჯვის და კერძო საუბრების ჩატარების შემდეგ პარტ-კომისია იწვევდა უჯრედის მდივნებს ა.კ.კ.-ჯ-უფის ხელმძღვანელის ლეკიონის ა.კ.კ. ორგანიზატორს ბიურო-კოლექტივში თათბირზედ, სადაც ყველა აღნიშნული პირები აკეთებდენ მოხსენებებს თავიანთ მუშაობაზედ. მოხსენებებიდან ირკვეოდა, როგორც დადებითი მხარე მუშაობისა, აგრეთვე დეფექტებიც.

ასეთი თათბირების მოწვევა პარტ-კომისიის მიერ პირველათ ხდება ჩვენს მუშაობის სინამდვილეში და მე მგონია ასეთი ნაბიჯის გადადგმით კონფერენციამ ორგანიზაციების გაძლიერებას და გამტკიცებას მეტათ შეუწყო ხელი.

მე ამ წერილში არ ავღნიშნავ იმ მთავარ დეფექტებს, რაც ოქმების გასინჯვამ და თათბირმა გამოარკვია. ამაზედ შევჩერდები შემდეგ წერილებში. მხოლოთ უნდა ავღნიშნოთ, რომ რომელ ნაწილშიც გავატარეთ აღნიშნული თათბირები, ყოველგან ამხანაგები კმაყოფილი დარჩენ იმ ახსნა განმარტებებით და შეცდომებზე მითითებით, რომელიც პარტ-კომისიის მიერ იქნა მიცემული. აქვე უნდა ავღნიშნო ერთი გარემოება, რომელმაც უფრო დააინტერესა ადგილობრივი ორგანიზაციები:

ეს არის ერთი ნაწილის ორგანიზაციის მუშაობის გაცნობა მეორე ნაწილის ორგანიზაციაზე. როგორც სჩანს ერთი ნაწილის ორგანიზაციები არ არიან გაცნობილი მეორე ნაწილის ორგანიზაციის მუშაობას, რაც საერთო ნაკლათ უნდა იქნეს მიჩნეული და რაც შემდეგში უნდა იქნეს გამოსწორებული თვით ნაწილების ორგანიზაციების მიერ.

ჩატარებულ თათბირების გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ პარტ-კომისიამ არ უნდა დაკმაყოფილდეს ერთხელ ჩატარებულ თათბირებით, არამედ საჭიროა ასეთი თათბირების ჩატარება მოხდეს დრო გამოშვებით. მხოლოთ მე მგონია თათბირების ჩატარებას პარტ-კომისიის გარდა თუ დაესწრება პარტ-აღმშენებლობის და კ.კ. ინსტრუქტორი, ამ შემთხვევაში თათბირების მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნება და ყოველივე აღმოჩენილი დეფექტები უმალვე იქნება გამოსწორებული.

ასეთი მუშაობით ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნება და ამავე დროს განხორციელებული იქნება ცოცხალი კავშირის გამტკიცება პოლიტ-განყოფილებასა და ნაწილებს შორის.

ს. ლომიძე.

# ახალი რადიო ამბები

## კრიზისი საფრანგეთის მთავრობაში.

### დუმერგი თათბირობს.

საფრანგეთის პრეზიდენტი დუმერგი განაგრძობს თათბირს ახალი მთავრობის შედგენის შესახებ. რადიკალების უმეტესობა დაჟინებით მოითხოვს მიენდოს მთავრობის შედგენა ბრიანს.

ბევრი ასახელებს დე-მონზის კანდიდატურას.

## ინგლისის გაზეთები საფრანგეთის მთავრობის კრიზისის შესახებ.

ინგლისური გაზეთები გაცხოველებით სწერენ მთავრობის კრიზისის შესახებ საფრანგეთში. გაზეთების უმეტესობის აზრით ბრიანი შეინარჩუნებს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობას ახალ მთავრობაში.

## სავაჭრო ურთიერთობა გერმანიასთან.

რამოდენიმე დღის უკან გერმანიის მთავრობამ დაადგინა მიეცეს საბჭოთა კავშირს კრედიტი გერმანიიდან გამოსატან საქონელზე 300 მილიონი მარკის რაოდენობით. მთავრობის დადგენილებასთან დაკავშირებით უკვე დაწყებულ იქნა მოლაპარაკება შეკვეთებზე გერმანიის სხვა და სხვა ფირმებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს, როცა ინგლისის მთავრობა სცდილობს არ გაავრცელოს საბჭოთა მთავრობაზე კრედიტის საქმე, გერმანიის მთავრობამ კრედიტი მისცა მხოლოდ საბჭოთა კავშირს. უეჭველია, ეს სამასმილიონიანი კრედიტი გააღრმავებს ეკონომიურ ურთიერთ დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის.

## „საბედისწერო საკითხი"

საფრანგეთის ფინანსისტები და მრეწველები მეტად შეფიქრებული არიან მთავრობის კრიზისის გავლენით საფრანგეთის ფინანსიურ მდგომარეობაზე.

„სან-ფილის" სააგენტო სწერს: „ჩვენ განვიცდით მომენტს, როცა საბედისწეროდ დგება საკითხი ფრანკის მომავალ ბედ-იღბალზე".

## დაინტერესებული არიან საბჭოთა მეურნეობით.

### დუმერგი საბჭოთა პავილიონში ლიონის ბაზრობაზე.

საფრანგეთის პრეზიდენტ დუმერგმა მინისტრებისა და დეპუტატების თანხლებით ინახულა საბჭოთა პავილიონი (გამოფენების ბინა) ლიონის ბაზრობაზე. დუმერგი მეტად დაინტერესდა საბჭოთა კავშირის საგამოფენო ნიმუშებით. ახსნა-განმარტებას აძლევდა საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენელი რაკოვსკი, რომელიც მივიდა ბაზრობაზე მდივანთან და პრეობრაჟენსკისთან ერთად.

საბჭოთა პავილიონს უკავია 510 კვადრატული მეტრი და ყველაზე დიდი პავილიონია მთელს ბაზრობაზე.

საბჭოთა პავილიონი დიდძალ მნახველებს იზიდავს.

# საბჭოთა კავშირში

## სამხედრო-სამეცნიერო საზ-ბის საკავშირო ყრილობა.

8 მარტს მოსკოვში გაიხსნა სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების პირველი საკავშირო ყრილობა. ყრილობას დაესწრო 1,100 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით; ამათ შორის 400 დელეგატი სამოქალაქო ორგანიზაციებიდანაა.

ყრილობა გახსნა რევსამხსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ.

## თათართა რესპუბლიკის საბჭოთა მე-6 ყრილობა.

გაიხსნა თათართა რესპუბლიკის მე-6 საბჭოთა ყრილობა. ყრილობაზე მივიდა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასკომის მდივანი ა. ენუქიძე.

## განსაკუთრებული ყურადღება მგზავრ-გლეხებს.

გზათა სახალხო კომისარიატმა მიმართა ადგილებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მგზავრ—გლეხებს.

მგზავრ—გლეხებმა უნდა მიიღონ საჭირო ცნობები და ახსნა ამ მიზნისთვის დანიშნულ თანამდებობის პირთაგან და მიეცეთ ყოველგვარი შეღავათი მატარებელში მოგზაურობით. ამ განკარგულების აუსრულებლობაში დამნაშავენი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში.

# საქართველოში

## მანქანები ჭიათურისათვის

ჭიათურის შავი ქვის სამრეწველოსთვის მიღებულ იქნა მანქანები სულ 100.000 მანეთის ღირებულების.

მანქანების რიცხვში არის ელექტრო-მოტორები.

ცირკულიარულათ № 22.
9 მარტი 1926 წელი.

# მე-2-ე ქ. მ. დ. ყველა ნაწილების სამხკომებს.

21 მარტს სრულდება ქართული წითელი არმიის 5 წლის თავი. საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში ამ დღესასწაულს ეძლევა დიდი მნიშვნელობა. ქართული წითელი არმიის არსებობის ფაქტი, საუკეთესო დამამტკიცებელია კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის სწორი ეროვნული პოლიტიკის და ცხადჰყოფს იმ გარემოებას, რომ საბჭოთა სისტემა სრულიად უზრუნველყოფს ეროვნულ თავისუფლებას და მცირე ერებში სცდილობს მუშურ-გლეხური შეიარაღებული ძალის წითელი არმიის ჩამოყალიბებას და განმტკიცებას. ჩვენი წითელი არმია შეადგენს ნაწილს მთლიანი საკავშირო წითელი არმიის, წარსულ წლებში ბანდიტურ-მენშევიკურ გამოსვლების ლიკვიდაციამ დაამტკიცა, რომ ქართული წითელი არმია ღირსეული შვილია საქართველოს მშრომელი ხალხის. 5 წ. თავზე უნდა მოხდეს ჩვენი ნაწილების ყოფა-ცხოვრების და უახლოეს მიზნების ფართოდ გამოქვეყნება და მშრომელთა საზოგადოებრივ აზრის მიმართვა ქართული წითელი არმიის სწრაფი განვითარება-გაძლიერების მხრით. რომ 5 წ. დღესასწაული სასურველათ იქნას ჩატარებული, ამისათვის საჭიროა:

1. ნაწილებში და მოსახლეობის შორის დაიწყოს კომპანია 18 მარტიდან. საწარმოო დარგებში, დაწესებულებებში და თემებში საერთო კრებებზე ჩატარდეს მოხსენებები საქართველოს წითელი არმიის 5 წლის არსებობის შესახებ.

2. ადგილობრივ პარტორგანიზაციებთან-აღმასკომებთან შეთანხმებით შეძლებისა და გვარათ მოწყობილი იქმნეს საბჭოების საზეიმო სხდომები.

შენიშვნა: განსაკუთრებით აუცილებელია ძირითად საბჭოების (თემის) საზეიმო სხდომა, სადაც მოწვეული იქნეს ცვალებადელები, უვადო შვებულებაში წასული წითელი არმიელები და სხვ. ასეთი სხდომები უნდა მოწვეული იქმნეს შეკრებათა შორის პერიოდში ე. ი. 19-20 მარტს. ყველა თემებში გაგზავნილი იქმნენ სათანადო პირები პოლიტ-ქ მეთაურთა შემადგენლობიდან.

3. მოეწყოს საღამო-წარმოდგენები ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, საღამოები მიზნათ უნდა ისახავდენ მოსახლეობის და ჩვენი ნაწილების მჭიდრო დაკავშირებას და სამხედრო პროპაგანდას. საღამოების მოწყობა და დღესასწაულის ჩატარებაში ჩაითრიეთ ადგილობრივი კულტურული შეფები, განათლების და ხელოვნების ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

4. ნაწილებში ჩატარდეს პოლიტმეცადინეობა 5 წლის არსებობის შესახებ. კლუბებში და ლენინის კუთხეებში მოეწყოს საუბრები ამავე თემაზე.

5. სამხკორთა წრეებს დაევალოს 15 მარტიდან სისტემატიურად გაგზავნონ წერილები და კორესპონდენციები გაზეთებში „კომუნისტი", „მუშა", „ფუხ რა", „ახალგაზრდა კომუნისტი" და სხვა ადგილობრივ ორგანოებში, სადაც ასეთები მოიპოება. (თემა: ნაწილის მიღწევები, ყოფა-ცხოვრება და სხვ).

6. პოლიტიკურ და სამხედრო წრეებს ევალებათ დაამზადონ დიაგრამები, დიაპოზიტივები და სხვა მასალები ნაწილის მიღწევებზე.

7. ნაწილებს ევალებათ დღესასწაულთან დაკავშირებით მოაწყონ ახალი სამხედრო კუთხეები, სამოქ. კლუბებში და ქოხ სამკითხველოებში, ლეგიონებმა არა ნაკლები 10 სამხედრო კუთხისა და ცალკე ასეულებმა კი (როგორიც არის საკავშირო და მესანგრე ასეულები და ცხენოსანი ესკადრონი) თითო სამხედრო კუთხე. ცხენოსან ძირეულ ლეგიონის ეკალიათ გახსნან 2 სამხედრო კუთხე. ამ კუთხეების ფაქტიური გახსნა უნდა მოხდეს დღესასწაულის დღეს.

8. ტფილისის ცენტრალურ გლეხთა სახლში გაიხსნას ერთი სამხედრო კუთხე და გამოიყოს ერთი დასასვენებელი ოთახი ცხენოსანი მეგიონის, უფლება გლეხთა შემადგენლობისათვის (გახსნას და მოწყობას აწარმოებს პოლიტგანყოფილება).

9. ნაწილებში ჩატარდეს კონკურსი საუკეთესო მეთოფეზე, ასეულის მიმართ კარგზე, კედლის გაზეთზე, საუკეთესო სამხედრო კუთხეზე. კონკურსის მოწყობა და შედეგების კომისიის დანიშვნა ჩვენს სანიშვნოებით შეუძლება, ამიტომ ის უნდა ხ. ტარდეს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, თანახმად გაზ. „წითელ არმიელში" გამოქვეყნებული პირობებისა.

პირობები გამოქვეყნებულ იქნება მახლობელ ნომერში.

10. ჩატარდეს სპორტული შეჯიბრება და ერთი მასიური სალამო ცვლებადი წითელ არმიელთა მონაწილეობით.

11. უკვე გახსნილ და აგრეთვე ამ დღეებში დაარსებულ სამხედრო კუთხეებში მოხდეს შევსება ლიტერატურით, პორტრეტებით და სხვა მასალებით. (საჭირო თანხებს მიიღებთ).

12. 21 მარტს—მოეწყოს დემონსტრაციები, სამოქალაქო ორგანიზაციებთან ერთად და გამართულ იქნეს მიტინგები.

13. დასახურებულ იქნას: ა) საუკეთესო მეთოფეები, ბ) საუკეთესო მოწყობილი ქ. კ. ჯ. ლენინ... ვ) აქტიური ცვლებადელები, დ) კარგი მხოლოდელები.

პოლიტგანყოფილების უფროსი მაჩაბელი.

საგიტპროპაწილის უფროსი ადამიძე.

# პროფკავშირთა მიღწევები და ამოცანები.

**სრულიად საქართველოს მე 5 ყრილობის გამო.**

უკანასკნელ ყრილობიდან გასული დრო განსაკუთრებულ ისტორიის პერიოდია პროფკავშირთათვის და ახალი საკითხების რაოდენობით, რომლებიც წამოაყენა ცხოვრებამ მათ წინაშე.

სუპერი იყო არა მარტო გაფუვუჯებისა (ყოფა) ნაციონალ ფორმებში და მეთოდებში მუშაობისა, არამედ ბევრიც სრულიად უარყოფა და გამოკვლევა ახალი გზების და გადაცვიდება პროფმუშაობისა ახალ ლიანდაგზე.

გადამჭრელ გადასვლამ წინამდეგ გადასვლამ შინაკავშირის დემოკრატიზმის, როგორც შიდალავი არსა ყველაზე გატარებული, მიგვიყვანა იქამდე, რომ პროფკავშირებმა გადაწყვეს მუშათა კლასის წმინდა მასიურ ორგანიზაციად, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

პროფესიონელ ხელმძღვანელობის ქვეშ საქართველოს პროფორგანიზაციებმა მტკიცედ აღრიცხავ ლოზუნგი: „ასინთ მასებთან". 1924 წლის იანვრიდან 1926 წლის იანვრამდე პროფკავშირთ-კორპუსის სტიმულირებიდან ტფილისში განახლდა 246-დან 365-მდე; საარჩევნო წევრთა რაოდენობა მათში 1.195-დან ავიდა 1.808-მდე (გაიზარდა 51 პროცენტით).

ერთერთ უმთავრეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს ცოცხალი და წარმოება-თა კავშირთა განმტკიცება ხელმძღვანელ პროფორგანიზაციებსა და ძირს უჯრედებს შორის. დრმა გამოკვლევის სისტემამ, კონკრეტ მითითებათა მიცემამ და ხელმძღვანელთა ხშირ გასვლამ ადგილებზე სისტემატიურის ხასიათი მიიღო.

განსაკუთრებით დიდი მუშაობაა ჩატარებული კავშირებში, რომლებსაც ახლო შეხება აქვთ სოფელთან. კავშირში იყო ...ლები 19.821 სასოფლო-სამეურნეო მუშა იმ დროს, როცა 1924 წელს ითვლებოდა 8.038 კაცი; მოჯამაგირეთა კომიტეტების რაოდენობა გაიზარდა 19-დან 62-მდე; მოჯამაგირეთა რაოდენობა, რომლებიც მუშაობენ ხელშეკრულების მიხედვით 2.030 კაციდან ავიდა 7.688-მდე. სოფლის ინტელიგენცია და, განსაკუთრებით, მასწავლებლობა აქტიურ და საზოგადოებრივ მუშაობას აწარმოებს სოფლად.

უდიდეს მიღწევა კულტურულ მუშაობის დარგშია; ჩვენ უკვე გვყავს 25.000-მდე კლუბის წევრი. კლუბები დაიდეს მკვიდრ ნიადაგზე და თანდათან ამუშავებენ თავისი მუშაობის მეთოდებს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ პროფესიულ საგამომცემლო მუშაობა. უკანასკნელ წლის განმავლობაში გამოცემულია 24 წიგნი 47.000 ცალის რაოდენობით; ამ რაოდენობიდან 12 წიგნი 27 ათასიანი ტირაჟით მიეძღ ქართულ ენაზე.

კავშირთა წევრების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებაში დარგშიც საგრძნობი მიღწევები გვაქვს.

საშუალო განაკვეთი პირველი კატეგორიისათვის გაიზარდა უკანასკნელ წლის განმავლობაში 15,4 პროცენტით; ფაქტიური ამაღლება ნარდ სა მეურნეობა გადახდილ სახელფასო სახელფასო განაკვეთი წლის განმავლობაში საშუალოდ უდრის 30,2 პროცენტს. კოლექტიურ ხელშეკრულებაში შესულ კავშირის წევრთა რაოდენობა წლის განმავლობაში 62.801 კაციდან 89.437 კაცამდე გაიზარდა.

დაზღვეულთა რაოდენობა 98.962 კაციდან 112.228 კაცამდე გაიზარდა.

მაგრამ გასაკეთებელი მაინც ბევრია. საკავშირო ორგანიზაციების ყველა რგოლებში ჯეშმარიტ შინა-კავშირის დემოკრატიზმის გატარება, ყურადღებით მოპყრობა კავშირთა წევრების საჭიროებისა და მოთხოვნილებისადმი და მათი, რაც შეიძლება, მეტი დაკმაყოფილება—აი ის ამოცანები, რომლებიც უნდა გადაწყვიტონ პროფკავშირებმა და დარწმუნებული ვართ, რომ გადაწყვეტენ კიდეც.

ბ. ჟურულიშვილი.

# საველე მომზადება.

**ადგილ-მდებარეობის საბრძოლო შეფასება**

ამჟამად ახალგაზრდა მეთაურები აწარმოებენ სამხედრო მოქმედების შესწავლას ადგილზე. ყველამ კარგად იცის, თუ რა სხვადასხვა გვარია ადგილმდებარეობა: მთა, ხევი, მინდორი, ტყე—ყველა ფორმა ეს ერთი მეორეს სცვლის.

სხვა და სხვა ადგილობრივი საგნები, როგორიც მაგ. ტყე-ტბა, მდინარე, ნაკადული, მოსახლეობიანი წერტილი, ცალკე შენობები და სხვა—ადგილის უფრო მრავალგვარ სახეს აძლევენ ადგილ-მდებარეობას. თავისთავად ცხადია, რომ ადგილ-მდებარეობა მეტად დიდ გავლენას ახდენს ბრძოლაზე და თუ მოქმედებას. თუ რომ ნაწილი ან ცალკე მეომარი ასრულებს ამა თუ იმ საბრძოლო ამოცანას, მას ყოველთვის უხდება ანგარიში გაუწიოს ადგილ-მდებარეობასთან. იქნება ეს ძიება, დაცვა, ლაშქრობა მოძრაობა თუ ბრძოლა—ადგილ-მდებარეობა, რომელზედაც მოქმედება სწარმოებს, ყოველთვის ახდენს ამა თუ იმ გავლენას, ე. ი. ან არგებს, ან აზარალებს მოქმედებას ჩვენის ნაწილისას.

ამიტომ, საბრძოლო მოქმედების ყოველ შემთხვევაში, თვითეულ მეომარს მოეთხოვება გაიგოს ადგილ-მდებარეობას, შეაფასოს ის საბრძოლო თვალსაზრისით. ეს შეფასება მდგომარეობს შემდეგში:

1) პირველყოვლისა განსაზღვრულ უნდა იქნას, რომელი ადგილი ან რამდენიმე ადგილობრივი საგანი უფრო ხელსაყრელია მოწინააღმდეგისათვის, რათა დაფარვით ჩვენი წინააღმდეგ ხელსაყრელი მდებარეობა (ადგილი) მოწინააღმდეგისათვის და მოსახლეობის ამოჩნდება მსროლელისათვის.

2) ადგილ-მდებარეობის როგორი წერტილი (ბორცვი, გორაკი) უფრო მოხერხებულია სათვალთვალოდ. ეს არის სათვალთვალო ადგილის ამორჩევა.

3) რამდენად მოხერხებულია მტრისათვის სათვალთვალო წერტილები მიერ ამორჩეული ადგილი, მოვგვებოდება შევუტიოთ მტერს მიერ დაკავებული ადგილი და გამოვარკვიოთ, აქვს თუ არა მას ისეთი წერტილი, რომლიდანაც შეუძლია უთვალთვალოს მტერმა ჩვენი ნაწილს თუ იმ წერტ.

4) შემდეგ უნდა გამოვარკვიოთ, არის თუ არა ფარული მისადგომი, რომლითაც უნდა ფარულად და შეუმჩნევლად შეიძლებოდეს მტერზე მიახლოება, არის თუ არა მკვდარი სივრცეები (მტრის ტყვიებს გან უვნებელი), რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც შინიღბვის საშუალებანი. ამავე როგორიც უნდა შევამოწმოთ ჩვენ მიერ არჩეული ადგილი, რათა წინასწარ ვებეიდულყოთ მტრისათვის ხელსაყრელი მისადგომი, მოფარებული ადგილები და სხვა.

5) ბოლოს ადგილ-მდებარეობა შეფასებულ უნდა იქნას სროლისათვის თვალსაზრისით მდგომარეობა, ჩვენ ვიცით, რომ ადგილ-მდებარეობის იგივენაირიისის და ...... ნაწილების სროლისათვის უფრო ხელსაყრელია ვაკე, გაშლილი ადგილი, ხოლო ქვემეხ... სროლისათვის უფრო ... ტყიანი ადგილი, ...... რომ მას გარეთ ხელსაყრელი ადგილი მაშინ ხელშიდაა... ....... რა უნდა ... უნდა ... ... ჩვენ ... ... როგორც ...... საბჭოები ... ... ... ადგილ-მდებარეობის ... ... შეფასება.

# რ. ლენინურ ახკომკავშირის მე-7 ყრილობისთვის

პარტიის მე-14 ყრილობამ დაწვრილებით გაარჩია საკითხი ახალგაზრდობის შესახებ და გამოიტანა დადგენილებათა მთელი რიგი კომკავშირის მუშაობის შესახებ.

ყრილობის ერთი მთავარი დირექტივთაგანი იყო კომკავშირზე ხელმძღვანელობის გაძლიერება პარტორგანოების მხრივ. ამეამად სწარმოებს კომკავშირთა ორგანიზაციების საგუბერნიო და სთოლქო კონფერენციები და ყრილობები, რომელთა ჩატარებაშიაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ადგილობრივ პარტორგანიზაციებმა.

ამ ხელმძღვანელობაზე და მონაწილეობაზე დამოკიდებული იქნება ბევრი კავშირის პარტიასა და კომკავშირს შორის.

რა მდგომარეობა აქვს კომკავშირს და რა მორიგი ამოცანები აღგას მის წინაშე?

პირველ ყოვლისა როგორც უმთავრესი მიღწევა უნდა აღვნიშნოთ ის, რომ კავშირი ფართოდ შეუყვება თავის რიგებში მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა. ამჟამად კომკავშირში ითვლება 1.700.000 წევრი, ამათგან 700.000-მდე მოდის სოფელზე. მე-6 ყრილობის შემდეგ კავშირი ერთი სამად გაიზარდა. კავშირში ითვლება 650.000 მუშა.

მაგრამ მიუხედავად ამ მიღწევებისა, ლოზუნგი—„მთელი მუშური ახალგაზრდობა კავშირში"—არაა ასრულებული. მორიგი ამოცანაა—კავშირში მუშური ახალგაზრდობის, სოფლის ღარიბების, მოჯამაგირეობის და საშუალო შეძლებულ ახალგაზრდობის სრული მიზიდვა კავშირში.

კომკავშირთან ერთად იზრდება პიონერთა მოძრაობაც. თუ რომ 1924 წლის 1-ლ ბ. რისათვის ჩვენ გვყავდა 200 000 პიონერი, 1925 წლის 1-ლ იანვრისათვის ის უდრიდა 1.460.000 კაცს. ამჟამად პიონერთა რიცხვი 2 მილიონამდე აღწევს უდრის. პიონერთა შორის მუშაობა ჯერ კიდევ არაა კარგად დაყენებული და თუ ჩვენ ვერ შევძლებთ პარტიის დახმარებით მოვაწყოთ ... პიონერთა მუშაობა პიონერთა შორის, ეს მოძრაობა ვერ გაამართლებს მასზე დამყარებულ იმედებს.

თუმცა პარტიული ბირთვი კავშირში გაიზარდა და აღწევს მთელი კავშირის 8,9 პროცენტს, მაგრამ პარტიულთა და კომკავშირელთა ეს მცირე ჯგუფი ვერ შესძლებს სწორ ხელმძღვანელობას, თუ რომ პარტია დროზე არ მიეშველა კომკავშირს. საჭიროა გადიდებულ იქნას პარტიულთა პროცენტი კავშირში. პროლეტარიატის სოციალიზმის ფენები კავშირში, აგრეთვე ... ვნოლავი მსვლელი გაუმჯობესება; ...ჯებო ნებლად და უნდა და სხვა ფენებს პარტიაში შესვლა უნდა იქმნას გაადვილებული ამ კომკავშირელთა ეგზიმ... ამ ჯერ კიდევ 1-ლი პირველიდან ..... და მდგომარეობა ... რესურსებში ... ახალგაზრდობისა და სხვ. 120.000 კავშირის წევრი. ამ წელში მეცადინეობს ... მათგან ქალები კომკავშირთა 80 პროც. და სოფლის —ახალგაზრდა 30 პროცენტია.

კავშირის ამოცანაა დაუკავშირებს პოლიტიკურ-ეკონომიურ და კულტურულ მუშაობას. ასეთი მარტო კავშირის ძალას შესრულებს ვერ შესძლებს.

მუშური ახალგაზრდობის აქტიურ მუშაობაზე წამოყენებულ საქმეშიც კავშირი დიდ მიღწევებს აქვს.

მაგრამ წამოყენებული ტემპი საგრძნობლად ჩამორჩება კავშირის ზრდის ტემპს. წამოყენებულ უნდა იქნან მეტი ნაწილობრივ—ადგილობრივ და დამოუკიდებელ საკითხებში და თავის რიგ ბი სოფლიდ, სადაც ხშირად აქტივისტებად გვხვდება ჩვენთვის უცხო ელემენტები (მღვდელი, ბოშოლების შვილები და სხვ).

ბოლოს, ბრძოლა უფრო ფართო მოვლენების წინააღმდეგ როგორიცაა ლოთობა, და სხვა ასეთები, კომკავშირისათვის საბრძოლო ამოცანაა, განსაკუთრებით, სოფლად.

აი კომკავშირის ის მორიგი ამოცანები, რომლებიც უნდა გადაჭრას კომკავშირის მე-7 ყრილობამ.

ნ. ხ—ვი.

# ჩვენს ტერ-ნაწილებში.

## წვევამდელთა გამოსათხოვარი საღამო.

სუფსის წვევამდე—მზად. წერტი.

5 მარტს დასრულდა წერტში მეცადინეობა. გამოცდები —როგორც პოლიტიკურში—ისე ტაქტიკურ მეცადინეობაში არმატებით დამთავრდა.

უკანასკნელად, გამოთხოვების აღსანიშნავათ, თვით წვევამდელებმა ღარიბ წვევამდელების სასარგებლოთ გამართეს წარმოდგენა.

ამასთანავე ერთად მოეწყო ცეკვა, გურულ-იმერული სიმღერები და სხვა, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე საზოგადოებაზე. უკანასკნელად მადლობას უცხადებთ წერტის სახელით ამხ. ამროსი ანდღულაძეს, რომელმაც აქტიური ხელმძღვანელობა გაგვიწია საღამო-წარმოდგენის მოწყობაში.

სამხკორი ს. ორაგველიძე.

## ჩვენი მიღწევები.

4-ხე ლეგ. გორის წვევამდელთა წერტი.

ორი კვირის განმავლობაში ენერგიული მეცადინეობით წვევამდელებთან საგრძნობი მიღწევების წინაშე დავდექით. პირველი—ამხანაგებმა შეიგნეს თავის მოვალეობა, თუ როგორ უნდა მოეკიდონ მშრომელი ხალხის ხელისუფლებისაგან დავალებულ საქმეს და რა მიზანს ემსახურებიან. ეს უმთავრესი იყო. მეორე—განვლილი იქნა სავსებით სამეცადინო პროგრამა. შეთვისება ხელმიწევნით დამაკმაყოფილებელი იყო, რაც გამოაშკარავდა მეცადინეობის დასრულების შემდეგ მომხდარ გამოცდებზე.

წერტზე ჩამოყალიბებულ ახკომკავშირის უჯრედმა სრულიად გაამართლა იმედები და შესაფერ ხელმძღვანელობას უწევდა ამ მიმართულებით წარმოებულ მუშაობას.

წერტზე ორჯერ მოეწყო შეჯიბრი სროლაში. ჩვენმა წვევამდელებმა აქაც დაამტკიცეს, რომ სამხედრო საქმის შესწავლას გულმოდგინეთ ეკიდებოდენ. ბევრი მათგანი აუცილებლად საუკეთესო მსროლელად მოევლინება ჩვენს ნაწილებს თავის დროზე.

სახლებში გაშვების წინ ამხანაგებმა ფიცი დასდვეს, რომ არ დაივიწყებენ ასეულში მიღებულ ცოდნას, და ხშირად ინახულებენ ნაწილს იქ მიღებული გამოცდილებათა გასაღრმავებლად.

ახკორი შ. გოგაური.

## გაგვინაწილეთ დრო.

2-ე არტლეგიონი.

დღემდე ხსენებულ ლეგიონში არ არსებობდა სხვა და სხვა თვითგანვითარების წრეები, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა არმიელებში.

ეს გარემოება მიიღეს მხედველობაში ჩვენმა მესვეურებმა და ყოველგვარი ზომები მიიღეს ასეთების ჩამოსაყალიბებლად. დაარსებული იქნა სამხკორთა, საერთო განვითარების და სხვა წრეები, რომლებშიდაც მასიურად ჩაეწერენ ჩვენი წითელ არმიელები. სამწუხაროდ მეცადინეობისათვის აღარ გვრჩება დრო. ეხლა წრეები არსებობს, მაგრამ დრო აღარ გვაქვს.

კარგი იქნება ჩვენი მესვეურები ამასაც მიაქცევდენ ყურადღებას და ისე გაგვინაწილებდენ დროს, რომ წრეებშიც შეგვეძლოს მუშაობა და არც ჩვენ ჩამოვრჩეთ სხვა ნაწილებს თვითგანვითარების საქმეში.

წ. არმ. პ. ბურკაძე.

## სხვებს არც ჩვენ ჩამოვრჩებით.

5-თე ლეგ. ქუენონი.

ქუენონის შემხვევი რაზმის წითელ არმიელები მიმაგრებული ვიყავით პოლიტსაათებისათვის ლეგიონის ერთ-ერთ ასეულზე, მაგრამ იქ ისეთ საათებში სწარმოებდა პოლიტმეცადინეობა, რომ ჩვენთვის შეუძლებელი იყო დასწრება. ეს გარემოება მიღებულ იქნა მხედველობაში და შესცვალეს დრო ჩვენს სასარგებლოდ. წითელ არმიელები ძლიერ ასიამოვნა ამ გარემოებამ და დიდი გულმოდგინეობით უსმენენ პოლიტსაათებს. იმედი გვაქვს, რომ მალე შევავსებთ დანაკლისს და პოლიტიკურ მომზადებაში არც ჩვენ ჩამოუვარდებით სხვა ნაწილებს.

წ. არმ. რამიშვილი.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## ამხ. ევგენი ტორჩინავას ხსოვნას.

პირველი ლეგიონი.

დაუვიწყარი ევგენი, რომელიც ასე უეცრად გამოეცალა მის საყვარელ წითელ არმიას იყო სენაკის მაზრის სოფ. ისულის ღარიბი გლეხის შვილი. ამხანაგს დიდი ღვაწლი მიუძღვის მენშევიკური კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლებში. ის მოწინავე კომუნარებთან ერთად თავგამოდებით იბრძოდა 1924 წლის აგვისტოს გამოსვლების დროს ხალხის მოღალატე ბანდიტების წინააღმდეგ. მან არა ერთი გაჭირვება გამოიარა სვანეთის მიდამოებში თავმოყრილ ბანდიტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამხ. გამოწვეული იქნა წითელ ჯარში 1924 წელში და იშვიათი გულმოდგინეობით სწავლობდა სამხედრო საქმეს და ასრულებდა ყოველგვარ ბრძანებებს.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ამხანაგს აგრეთვე ახალწვეულების აღზრდის საქმეშიც. თავისი მუყაითობით და ამხანაგობით დიდი სიყვარული მოიპოვა წითელ არმიელებში.

ამ დღეებში ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვაცალა ეს ძვირფასი მეგობარი და აღმზრდელი.

ჩვენ 1-ლი ლეგსკოლის წითელ არმიელები ფიცს ვდებთ მის წინაშე, რომ ერთგულად ვემსახურებით მის საყვარელ საქმეს.

ეს იქნება მისი ხსოვნის საუკეთესო პატივისცემა.

ბაგრატ ვარდია.

## საჭიროა განტვირთვა.

6-ე ლეგიონის უმცროს მეთაურთა სკოლა.

ჩვენს სკოლაში თავიდანვე დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული სამხედრო და პოლიტიკური საქმეების შესწავლას. არა ნაკლები ყურადღება ექცევა წითელ არმიელთა ფართო მასის კულტურულად მომზადებასა და გაწვრთნას. მართალია პოლიტსაათებზედაც ფართოდ გვაცნობენ სხვა და სხვა საკითხებს, მაგრამ უფრო ფართო მომზადებისათვის ჩამოყალიბებული იქნა კიდევ სხვა და სხვა ბირთვები.

სამწუხაროდ ბირთვებმა ვერ შესძლეს მთლიანად დასახული მიზნების მიღწევა და ვერ შემოიკრიბეს თავის გარშემო წითელ არმიელთა ფართო მასა. ამის მიზეზი ის არის, რომ ბირთვების ხელმძღვანელები ძლიერ დატვირთული არიან სხვა და სხვა დავალებებით და თავის პირდაპირ მოვალეობას კი ველარ ასრულებენ შესაფერისად, რამაც გამოიწვია წითელ არმიელთა მასის ჩამოცილება ბირთვებიდან.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას. მუშაობის ნაყოფიერად წარმოების მიზნით, ბირთვების ხელმძღვანელები უნდა განიტვირთონ სხვა და სხვა დავალებებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში „ერთ კურდღელსაც ვერ დავიჭერთ“.

სამხკორი ი. ჭოჭუა.

## დროს ტყუილა არ ვკარგავთ.

4-ე ლეგიონის პირველი ათასეული.

ათასეულის ლენინის კუთხეში სისტემატიურად სწარმოებს წითელ არმიელებთან მეცადინეობა ლექციებისა და საუბრების ჩატარების სახით. ამხანაგები გულმოდგინეთ ეკიდებიან მუშაობას, რაც მიეწერება უმთავრესად ხელმძღვანელებს.

ლენკუთხეში ჩამოყალიბებულია აგრეთვე სხვა და სხვა ბირთვები. წითელ არმიელები მასიურად ეწერებიან მათში და მეცადინეობენ. ერთ წუთ თავისუფალ დროს არ აცდენდენ უბრალოდ. ყველა კუთხეში იყრიან თავს, კითხულობენ და ისმენენ საუბრებს.

წ. არმ. გ. ბუაჩიძე.

## ცხენოსან ლეგიონის საკავშირო კომისიის მუშაობა.

ლეგიონში ნოემბრიდან არსებობს საკავშირო კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს ლეგიონის სამხკომი. კომისია ცდილობდა სხვა და სხვა წარმოების მუშებთან და მახლობელ სოფლებთან კავშირის გაძლიერებას და წითელ არმიელებზე მინიჭებულ შეღავათების ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარებას.

აღნიშნულ მიზნების დიდი ნაწილი მიღწეული იქნა და ბევრი რამ გაკეთდა ამ მხრივ ერთი წლის განმავლობაში. ხშირად ხდებოდა კრებები, შუქდებოდა მიმდინარე მუშაობა და სდგებოდა მომავალი მუშაობის გეგმები. კომისია ხშირად აწყობდა აგრეთვე ექსკურსიებს სხვა და სხვა წარმოება-დაწესებულებების მუშებთან როგორიც არის მაგალ. ტყავტრესტის, საპონ-ტრესტის, თამბაქოს ქარხნის, დეპოს, ტრამვაის და სხვა.

კომისიის მიერ განხილულ იქნა სულ წ. მოლაშქრეთა 130 განცხადება სასოფლო-სამ. გადასახადებზე და მათ რჩენაზე მყოფ პირების შესახებ, რაზედაც კომისიის მიერ გაცემულია სათანადო მოწმობები.

მართალია ზოგიერთ პროვინციებში ნაკლებად აქვს შეგნებული ადგილობრივ ორგანიზაციებს წ. არმიელის ოჯახზე დაწესებული შეღავათების და მათი ცხოვრებაში გატარების მნიშვნელობა, რასაც ამტკიცებს კომისიის მიერ გაცემულ მოწმობების უყურადღებოთ დატოვება, მაგრამ საერთოდ მაინც იყო მიღწევები აქაც.

უსურვებ ჩვენ კომისიის შემადგენლობას ლეგსამხკომის ენერგიულ ხელმძღვანელობით კიდევ მეტ ნაყოფიერ მუშაობას.

ა. მექერია.

## კარგად ვმუშაობთ.

ცხენოსანი ლეგიონი.

1-ლ ესკადრონის მე-3-ე ოცეულში სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობა ძლიერ კარგათ მიმდინარეობს.

ოცეულის თავი ამხ. ნიშნიანიძე არ იშურავს ენერგიას იმისათვის, რომ თავის ოცეულის წ. არმიელები კარგათ იქნეს მომზადებული, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ საქმეში.

ამ მოკლე ხანში— რამოდენიმეჯერ იქნა მოწყობილი სამხედრო შეჯიბრება ოცეულებს შორის და უნდა ითქვას, რომ ამ შეჯიბრებიდან უმეტესად მე-3-ე ოცეული გამოდიოდა გამარჯვებული. ეს კი უსათუოდ დამამტკიცებელი საუბითია იმ ენერგიულ მუშაობის, რომელსაც ოცეულში ეწევიან ჩვენი უფროსები.

თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ სხვა ესკადრონებში და ოცეულებში არ მიმდინარეობდეს კარგათ მეცადინეობა. მაგრამ ის კი ფაქტია, რომ 1-ლ ესკადრონის მე-3-ე ოცეულმა კარგათ შეითვისა და სათანადოთ ასრულებს იმ მოვალეობას, რომელიც მასზე არის დაკისრებული.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

## მოწერილი ამბებიდან

ნაწილების წითელ არმიელებმა ამას წინად მოაწყვეს დეზერტირის გასამართლება, რამაც აუარება ამხანაგები მიიზიდა. ბრალმდებლები და დამცველები წინდაწინ იყვნენ მომზადებული. დიდხანს სწარმოებდა კამათი წამოყენებულ ბრალდებების გარშემო, რომელშიდაც ფართო წითელ არმიელთა მასამაც მიიღო მონაწილეობა. დამსწრე ამხანაგების დასტურით, სასამართლომ ზიზღი გამოუცხადა ბრალდებულს დეზერტირობისათვის, რომელსაც მხურვალე ტაშით შეეგებენ წითელ არმიელები,

(3-მე ლეგ. 4-ხე ასეული)

სამხკორი ბ. იოსელიანი.

---

უკვე დასრულდა კლუბის შეკეთება. დარბაზი საგრძნობლად იქნა გადიდებული. ამჟამად ორჯერ მეტ წითელ არმიელების რიცხვს იტევს. გაკეთებული იქნა აგრეთვე ახალი დეკორაციები სცენისთვის.

ყველა ამ მუშაობაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ ყველა წითელ არმიელები.

(1-ლი ლეგიონი)

სამხკორი ჩაგელიშვილი.

---

ამ რამოდენიმე დღის წინად ლეგიონის კლუბში გაიმართა წარმოდგენა, რომელსაც კერძო მოქალაქენიც დაესწრენ. პიესები კარგად იქნა ჩატარებული. დასასრულ გაიმართა ცეკვა-თამაში. ლეგიონის მომღერალთა გუნდმა შეასრულა რამოდენიმე ნომერი სიმღერები. საღამო საერთოდ ორგანიზაციულად ჩატარდა, რისთვისაც მადლობის ღირსია კლუბის გამგეობა. დრამწრე ენერგიულად მუშაობს. წრის ყველა წევრები განთავისუფლებული არიან უფროსების მიერ განწესებაში გასვლისაგან.

(მე-5-თე ლეგ.)

სამხკორი ოგანოვი.

## წითელი არმია და ვენერიული ავადმყოფობანი.

რა თქმა უნდა ამ საკითხზე მთელი რიგი წერილების დაწერა და მაგალითების მოყვანა შეიძლება, მასთან მე ვენეროლოგი არა ვარ, მხოლოდ ჩემი დაკვირვებიდან მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა ამ საშინელი სენის შესახებ, რომელმაც მით უმეტეს ამ ბოლო ხანებში ძლიერ იჩინა თავი ჩვენს რიგებში. ყოველივე ჩემს ნათქვამს ამტკიცებს საავადმყოფოში ვენერ. ავათმყოფთა რიცხვის ზრდა.

ეს სენი, როგორც ვიცით უწამლავს ადამიანს მთელ სხეულს და უნახევრებს ჯანმრთელობას. აგრეთვე ქმნის მასში გულგატეხილობას და იმედს უკარგავს მომავალ ცხოვრებისას. ბევრს ეს ავათმყოფობა სირცხვილათ მიაჩნია და ფარავს მას მანამდე, სანამ ავათმყოფობა არ გაუძნელდება და არ აიძულებს მას სთქვას: „მიშველეთ ვიღუპები-“ო. და ვინ იცის ამ ხნის განმავლობაში რამდენი უდანაშაულო ამხანაგი გასვარა ამ საშინელი სენით ყაზარმაში ერთად ცხოვრების დროს.

რა უწყობს ხელს ამ საშინელი სენის გავრცელებას ჩვენს რიგებში? ლოთობა და ავადმყოფ ქალებთან კავშირის დაჭერა. რა თქმა უნდა სხვა ბევრი მაგალითების მოყვანა შეიძლება, მაგრამ ეს ორიც საკმარისია. ავადმყოფ ქალებს, რომლებიც თავზე ხელაღებულია, დაწანწალებენ ქუჩაში და არაფრად არ მიაჩნიათ ჯანსაღი ადამიანის გაუბედურება. სწორედ ასეთ ქალებთან იჭერენ კავშირს და აბრიყვებენ სხვა მის ამხანაგებს, რომელთაც ეუბნება: „შენ რა შეგიძლია, დედაკაცი ხარ, წამო ჩემთან, მე გაშოვნინებ ქალს, თუ გინდ ათს ერთადო“. ხოლო სინამდვილეში კი აშოვნია ეს საშინელი მოუშორებელი სენი.

ღვინით შეზარხოშებული ამხანაგები ხშირად ამბობენ: „ისე არ დავბრუნდები ამაღამ ყაზარმაში, სანამ ერთ ქალს არ ვიშოვითო“. მეორე ამხ-გი დაუმატებს: „დავიცადოთ, ქუჩაზე ცოტა ხალხი მილაგ-მოლაგდება და ლუკმასაც ადვილად ვიშოვნითო“. ყოველივე ამის შედეგად კი ჩვენი ამხანაგები ღებულობენ ზემო-აღნიშნულ სენს. „სიამოვნებასთან“ ერთად სენით დაჯილდოებული ბრუნდებიან ყაზარმაში.

ყოველივე ამას რომ ასცდენ ჩვენი ამხ ნაგები საჭიროა ერთხელ და სამუდამოთ მოერიდონ ქუჩებზე ამ მიზნისათვის სიარულს, ლოთობას და სხ. ამით კი დავიცავთ ჩვენი ჯანმრთელობას, რაც აუცილებელია თითეული წითელარმიელისათვის.

სამხკორი ლენკუთხელი.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ჩვენი პარტსაქმიანობიდან.

მეთაურთა სკოლა.

ჩვენი სკოლის პარტმუშაობა შესაფერ ნიადაგზე სდგას. ჩამოყალიბებულია პარტგანათლების წრე, რომელიც მიზნათ ისახავს კომპარტიის ისტორიის შესწავლას და პარტიის მიზნების პოპულიარიზაციას. ამ უკანასკნელად დაარსებული იქნა აგრეთვე სხვა და სხვა ჯგუფები 14 პარტყრილობის დადგენილებების შესასწავლად. თითეულ ჯგუფში ირიცხება 10–15 ამხანაგებამდე. ჯგუფების ხელმძღვანელები გადარჩეულია სათანადოთ მომზადებული ამხანაგებისაგან. ყოველ დანიშნულ საათებში ხელმძღვანელი კითხულობს ჟურნალ-გაზეთებიდან წერილებს ყრილობების დადგენილებების გარშემო და საერთო ძალით დაწვრილებით ვერკვევით ყველა დეტალებში.

სკოლაში არსებობს აგრეთვე აღნიშნული ჯგუფების ცალკე განყოფილებები, სადაც ვსწავლობთ ლენინიზმს და სხვა. მათი მეცადინეობა სწარმოებს ორჯერ კვირაში.

საერთოდ პარტმომზადების საქმეს დიდი ყურადღება ექცევა ჩვენთან და იმედი გვაქვს, რომ მალე სასურველ შედეგების წინაშე დავდგებით.

სამხკორი ალ. გაგუა.

## ვსპობთ წერა-კითხვის უცოდინარობას.

მე-2 ლეგ. მე 8 ასეული.

4 მარტს შესდგა ასეულის კომუჯრედის ღია კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ ასეულში. მომხსენებელმა საჭიროდ სცნო ამ მიმართულებით, რომ შესაფერი წარმატებით იქნეს გატარებული მუშაობა, აირჩიეს სალიკვიდაციო კომისია, რომელიც გამონახავს შესაფერ საშუალებებს. კრებამ ერთხმად მოიწონა ეს აზრი და აირჩია რამოდენიმე ამხანაგები. კომისიის მდივანს მიენდო გამონახოს ლენინის კუთხისათვის შესაფერად მომზადებულ წითელ არმიელთა კადრი და დაავალოს მათ არა მცოდნეებთან მუშაობის წარმოება.

იმედია, რომ კომისია გაამართლებს მასზე დამყარებულ იმედებს და ლენინის ნაანდერძევ დიდი საქმის გაკეთებაში თავის მცირე წვლილს დაუზარებლად შეიტანს.

წ. არმ. გოზალაშვილი.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი

მე 2 ლეგიონის ახალწვეულებს აგერ ორი თვე სრულდება, რომ ტანსაცმელი არ მიუღიათ. ხშირად მივმართეთ ამის შესახებ სამნეო ნაწილის უფროსს, მაგრამ გარკვეულ პასუხს ვერ ვღებულობთ. ეს ამხანაგები გულმოდგინეთ ასრულებენ ყველა დავალებებს და არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა დეზერტირობის, მაგრამ უტანსაცმელობის გამო შეიძლება თავი იჩინოს მათში ავადმყოფობამ და შემდეგ გვიან იქნება ზრუნვა. თუ ყველა ჩვენთან გამოწვეულებს დაურიგდათ ტანსაცმელი ჩვენ რა გამონაკლისს შევადგენთ. დროა იზრუნოს ამაზე სამნეო ნაწილის უფროსმა.

წ. არმ. ნატრიაშვილი.

—

მე-2 არტლეგიონში ამ სამი თვის წინად დაგვირიგეს მაზარები, მაგრამ რვა კაცისთვის მეტისმეტად მოკლე მაზარები აღმოჩნდა. სამნეო ნაწილის უფროსი შეგვპირდა გამოგიცვლით მაზარებსო და თან წაიღო. ამასობაში ჩვენ გადაგვიყვანეს პირველ დივიზიონში. უცდით მაზარებს, მაგრამ ისე გავიდა სამი თვე, რომ არავის ვახსენდებით და უმაზაროთ ვართ. ამაზე გვიპასუხოს ლეგიონის სამნეო ნაწილის უფროსმა.

წ. არმ. ბანძელაძე.

—

მე-4 ლეგიონის მეთაურთა სკოლაში არა გვაქვს საათი. რამდენჯერ მივმართეთ ამაზე სადაც ჯერ არს, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს. კედლის გაზეთშიდაც კი მოვათავსეთ ცნობა, მაგრამ ალბად არც წაუკითხავთ, ან თუ წაიკითხეს ყურადღება არ მიაქციეს. არა და უსაათობა მეტად გვაბრკოლებს. სანამდე უნდა ვისარგებლოთ დროს გასაგებათ მამლების ყივილით და როდის მოგვაქცევენ ყურადღებას ვისაც ეს ეხება?

სამხკორი აბაშელი.

—

1-ლ მესანგრე ასეულში ხშირად წყლის დიდი კრიზისია. არ იქნა და არა, სამნეო ნაწილმა ვერ მოახერხა წყლის მოსაკავებელი ჭურჭლის შეძენა. ამ გარემოებას მოყვა ასეულში უსუფთაობა, რამაც შეიძლება ავადმყოფობაც გამოიწვიოს. ხშირად ხელპირ დაუბანელიც ვრჩებით წითელარმიელები უწყლობის გამო. საჭირო დროზე იქნეს მიღებული შესაფერი ზომები და უზრუნველგვყონ წყლით.

სამხკორი „ბინოკლი".

## „ფორდი" ტფილისში.

ამერიკული ტრაქტორები სას.-სამ. გამოფენაზე

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო დეპეშა ამერიკაში მყოფ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობისაგან, რომ მსოფლიოში ცნობილი უდიდესი სამრეწველო ფირმა „ფორდი" სურვილს აცხადებს ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის მიღებაზე.

„ფორდი" გზავნის ტფილისში 50 ცალ გაუმჯობესებულ ტრაქტორს ფორძონის სისტემისას, 5 მსუბუქ და 7 საბარგო ავტომობილს. გარდა ამისა გამოგზავნილ იქნება სხვა და სხვა მანქანებიც.

„ფორდის" მიერ გამოგზავნილი იარაღ მანქანები და ავტომობილები დაიჭერენ გამოფენაზე 1500 კვადრატიულ მეტრ. სივრცეს (მეტრი—22 ნახ. ვერშოკია).

მანქანებთან ერთად „ფორდი" გამოგზავნის აგრეთვე თავის წარმომადგენელსაც, რომელიც უხელმძღვანელებს გამოფენაზე სას. სამეურნეო იარაღ-მანქანების გამოცდას.

დ.

## ბიბლიოგრაფია.

მ. კოლხიდელი. გლეხების აჯანყება სამეგრელოში 1857 წ. და სახალხო ტრიბუნი უტუ მ ქავა. ტ. „თვით-შრომა" 1926 წ გვ. 91. ტირაჟი 6.000.

საქართველოს მეცხრამეტე-საუკუნის ისტორია მრავალმხრივაა შესანიშნავი. ამ მანძილზე ჩვენში ადგილი ქონდა მრავალ სოციალ-პოლიტიკურ ცვლილებებს, რომლებმაც ძირიანფესვიანათ შეარყია ტრადიციული ცხოვრება და ხალხის ფართო მასებში ახალი მოთხოვნილებები წამოაყენა. ძერძოთ, სხვა და სხვა სოციალურ ნიადაგზე წარმოშობილა არა ერთი და ორი სტიქიური აჯანყება და „ბუნტები", მაგრამ თითქმის არც ერთი მათგანი ჯერ შესწავლილი არა გვაქვს. არსებობს პროფ. ყიფშიძის (ფრონელის) გამოკვლევები მთიულეთისა და კახეთის აჯანყებებზე, მაგრამ მთელი რიგი სხვა, მნიშვნელოვან პროტესტებისა განსაკუთრებით გლეხების მიერ სხვა და სხვა ამბოხებებით გამოხატული—თითქოს მივიწყებულია.

კოლხიდელის ზემოდასახელებული ისტორიული მონოგრაფია ნაწილობრივ ავსებს ამ ნაკლს და არ შეიძლება უყურადღებოთ დავტოვოთ ის. ავტორს რამოდენიმე წელი უმუშავნია ამ საკითხის ირგვლივ მასალების მოსაკრებათ, სავსებით გამოუყენებია ზუგდიდის მუზეუმში დაცული სიძველენი და ამრიგათ, ჩვენთვის ამ აჯანყების ყველაზე (დღემდე არსებულ) უფრო ნათელი სურათი დაუხატავს. იგი მას სოციალურ ხასიათის აჯანყებათ თვლის, რომელმაც პოლიტიკური ცვლილებებიც გამოიწვია. შრომა ერთობ საინტერესოა და ადვილადაც იკითხება, მხოლოთ მიწერ-მოწერის თარიღებში ერთგან ადგილი აქვს გაუგებრობას, ეს შემდეგია:—ომერ ფაშას მიერ—სამეგრელოს დედოფლისადმი მიწერილ პირველ წერილს (გვ. 19) თარიღათ აზის 30-XII-1855 წ. მეორე წერილს კი, რომელიც პირველის გაგრძელებაა და მასაც იხსენიებს (22 გვ.) 9 ნოემბერი 1855 წლისა. ცხადია პირველი, მეორეზე ადრე უნდა გაეგზავნა. (იქ კიდევაც ამბობს, 30 ოქტომბერს გამოგიგზავნეთ პირველი წერილიო) ამის შენიშვნა საჭირო იყო მისთვის, რომ თანდართულ შეცდომების გასწორებაში არ არის მოხსენებული.

წიგნი, ვიმეორებთ, ერთობ საინტერესოა და მივიწყებულ, წმინდა გლეხურ აჯანყების სურათებს საკმაო სიცხადით გვიშლის. სასურველია მისი ფართოდ გავრცელება მასაში.

გრ. შავგული.

## პასუხი შეკითხვებზე.

წეკამბრიშვილს დეზერტირობისათვის გამასწორებელ სახლში ჯდომის დრო არ გეთვლებათ ნამდვილ სამხ. სამსახურათ.

ჯაგაევს თუ შეცდომით ხართ გამოწვეული მიმართეთ ტერსამძართველოსთან არსებულ მთავარ მიმღებ კომისიას. თანახმად დეკრეტებისა თქვენს ოჯახს უნდა დაეხმაროს აღმასკომი და გლეხკომი.

ი. ლასაბერიშვილს სამსახურიდან არ გაგანთავისუფლებენ, ვინაიდან თქვენს ოჯახში არის დარჩენილი შრომის უნარიანი და.

მარგეშაძეს თქვენი ძმა იქნება ჩარიცხული ცვალებად შემადგენლობაში.

ძახიძეს ცოლშვილიან ზედმეტ მსახურ უმც. მეთაურს შეუძლია იცხოვროს კერძო ბინაზე თავის უფროსის ნებართვით.

ბუაჩიძეს. არ იქნებიან. გადარიცხულ იქნებიან ცვალებად შემადგენლობაში.

მოურავიძეს. მიეცემა.

რეხვიაშვილს. ასეთი იყო ბრძანება.

ხუხუნაიშვილს. თითეულ კვადრატიულ არშინში ბინის ქირად უნდა იხადოთ რვა კაპეიკი და საერთო ჯამს უნდა გამოაკლოთ 25 პროც., როგორც სამხედრო მსახური.

ბაკურაძეს. როცა თქვენს მაზარას შეუსრულდება ტარების ვადა ორი წელი, მოგეცემათ ახალი.

## საბჭოთა ხელახალი არჩევნები საქართველოში.

### გურიაში

ზემოსურების სათემო საბჭოში აირჩიეს 17 წარმომადგენელი. მათში 2 ქალია 9 კომუნისტი და 3 კომკავშირელი.

ასკანის სათემო საბჭოში აირჩიეს 37 დეპუტატი. აქედან 7 ქალია 18 კომუნისტი და 2 კომკავშირელი.

### ახალქალაქის მაზრა.

სათხისსათემო საბჭოში აირჩიეს 75 კაცი. აქედან 7 კომუნისტია და 68 უპარტიო.

ოკამის საბჭოში აირჩიეს 66 წარმომადგენელი. მათში 8 კომუნისტია და 3 კომკავშირელი. დანარჩენი უპარტიოებია.

კულაშის თემსაბჭოში აირჩიეს 84 წარმომადგენელი, მათში 9 კომუნისტია და 6 კომკავშირელი. არჩეულთა შორის 11 ქალია.

### ზუგდიდის მაზრა.

ლიის თემსაბჭოში აირჩიეს 19 დეპუტატი. მათში 6 კომუნისტია და 1 კომკავშირელი.

ნოჯიხევის სათემო საბჭოში აირჩიეს 54 დეპუტატი. აქედან 14 კომუნისტია და 4 კომკავშირელი.

ხობის საბჭოში აირჩიეს 15 წარმომადგენელი. აქედან 4 კომუნისტი და 1 კომკავშირელი.

კირცხის საბჭოში აირჩიეს 29 დეპუტატი. მათში 5 კომუნისტია და 1 კომკავშირელი.

ჯვარის თემსაბჭოში აირჩიეს 27 დეპუტატი. აქედა 3 კომუნისტია და 2 კომკავშირელი.

აბასთუმანის სათემო საბჭოში გავიდა 32 კაცი. მათში 9 კომუნისტია და 3 კომკავშირელი.

რიყეს თემსაბჭოში აირჩიეს 13 წარმომადგენელი. აქედან 7 კომუნისტია.

კალეჯიანის საბჭოში აირჩიეს 35 კაცი. მათში 8 კომუნისტია და 1 კომკავშირელი.

კახათის საბჭოში აირჩიეს 32 დეპუტატი. მათში 3 კომუნისტია და 2 კომკავშირელი.

### რაჭაში.

ხვანჭკარის სათემო საბჭოში აირჩიეს 31 წარმომადგენელი. მათში ორი ქალია, 7 კომუნისტი და 1 კომკავშირელი.

ასანიძეს. თქვენს რჩენაზე მყოფ ოჯახის წევრებს საექიმო დახმარება ეძლევა უფასოდ.

რამიშვილს მიმართეთ თქვენს სამხკომს, რომ აღძრას შუამდგომლობა მიღებულ იქნეთ პარტსკოლაში.

ვახტანგოვს. გვაცნობეთ რამდენს ღებულობთ ჯამაგირს, რომ გიპასუხოთ, თუ რამდენი უნდა გადიხადოთ ბინის ქირად.

ლომთაძეს. არ გეკუთვნით გადაყვანის ფული.

პ—ჭეს. მეკუჭნავე ექვემდებარება ერთეულის თანამეწეს სამნეო დარგში.

ოგანოვს. მაზარა მოგეცემათ შემოდგომაზე.

მე—შვილს. გადაყვანილი არ იქნებით.

ხეთელს. ვინც მე-6 ხარისხით ღებულობს ჯამაგირს, არ ეძლევათ კომუნალური ფული (ბრძანება № 1165—25 წ.

შემკითხველს. თანახმად შინა სამსახურის წესდების გრძელი თმის ტარება აკრძალულია.

უ—ძეს. მოხალისეებს არ ღებულობენ.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

პირველ ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტკანდიდატობიდან პარტწევრებად გადარიცხვაზე შემდეგ ამხანაგებს:

შალვა ალექსის-ძე პაქსაშვილს, ამბერკი სოლომონის-ძე ლორიას, ერვანდ არტემის-ძე ასლამაზოვს და აქვ'ენტი გერასიმეს-ძე ადამიას.

განცხადებები აქვთ შემოტანილი აგრეთვე პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: გიორგი ზაქარიას-ძე ესიტაშვილს და ვასილ ბესარიონის-ძე ზაუტაშვილს.

თუ ვინმეს რამე საწინააღმდეგო გაქვთ დასახელებულ ამხანაგების პარტიაში მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ასეულის უჯრედში ერთი კვირის განმავლობაში.

მდივანი ხარტიშვილი.

ქართულ მეთაურთა გაერთ. სკოლის 4-ხე კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: რუხაძეს, მელქაძეს, დალაქიშვილს, ღლონტს, ჯალაღანიას (კომკავშირის წევრები) და ბიქტორ გურგენიძეს (კანდიდატი).

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ მათი პარტიაში მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ორი კვირის განმავლობაში.

—

პირველი ლეგიონის სამნეო გუნდის და ბატარეის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ პარტიაში მიღებაზე განცხადებები: ილარიონ გ. ჟვანიას, (კანდიდატი, წითელი არმიელი) და კანდიდატათ მიღებაზე წ. არმიელ აკაკი კანდელაკის. თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ ამხანაგების მიღებაზე გთხოვთ გვაცნობოთ უჯრედის მისამართით.

მდივანი შავლაძე.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი მ. ხიმონგულოვი